


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 2. იანვარი 6, 1894 წ. № 2.

**შინაარსი:**—საახალწლო მილოცვა ლექსებით ღვანკითელისა.—საახალწლო მილოცვა ლექსებით გმირისეულისა.—მატარებელი დაიძრა (თარგმანი) მოთხრობა ანდონისა.—ძლევამოსილი მეცნიერაბა და მუხდალი ძალმომრეობა გ. წერეთლისა.—დაჭრილი არწივი, ლექსი ანდ—ნისა.—მამულის მსხვერპლი, (საახალწლო სურათი) ელეფთერიძისა.—ახალი ქართულის ლიტერატურის მოძრიობა, ს. ხახანაშვილისა.— ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებები.

## „კვალის“ ხელის-მომწერლებს მე-5 №-თან დაურიგდებათ ა. ყაზბეგის სურათი

# საახალწლო მილოცვა

ზოგიერთ სამშობლოს მოღვაწესა

და

სამოღვაწოსადმი.

## ხმა დაბა-სოფლებიდან

წარმოდგენილი ვარდენ ღვანკითელის მიერ *)

### I

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას

ვინც წერა-კითხვას ავრცელებს
ჩვენს ხალხში ზედი-ზედა,
მას შეეწიოს მამა, ძე
და ღვთისმშობელი დედა.

ახალწელსა მიულოცავ,
ღმერთმა უმრავლოს წლია;
წევრები ემატებოდეს,
და მასთან ოქრო-ვერცხლია.

ტფილისის და ქუთაისის ქართველ გამომცემელ საზოგადოების ამხანაგობას

როგორც ჯვარზე ტანჯვით ქრისტემ
დაგვიმტკიცა თვისი მცნება;
ღმერთსა ვსთხოვ, არ დაგვიწყნოდესთ
ერთმანეთის ყურისგდება.

ახალ წელსა მოგილოცავთ
მაშინ, როცა შეერთდებით;
ცალკეობით, ცუდსა შვრებით...
დაგგმობთ... მაგრამ გეხათრებით.

ჟურნალ „კვალს“

სახელსა კარგსა ატარებ,
დაგინათლებია «კვალიო»;
მაზედ უკეთესს ვერას იქ,
თუ დააჩნიე კვალიო.

გზა გაგვიკვალე უცოდნელს,
ბრმებს აგვიხილე თვალიო,
თვით ქრისტეც ასე შვრებოდა,
თუმც იტანჯა მრავალიო.

---

*) რადგან ზოგიერთ ჩვენ მოღვაწეებზე უკვე იყო ნათქვამი წინა ნომერში, ამისთვის აქ ვბეჭდავთ მხოლოდ იმათზე, რომლებზედაც წინა ნომერში არა თქმულა რა.

ახალწელსა მოგილოცავთ
მოხუცი, ყრმა და ქალიო,
და ღმერთს ვსთხოვთ შენს ნამოქმედარს
ამკობდეს სამართალიო.

„ივერიის გაზეთს“

ახალიწელი ამას გირჩევს
«შური» განაგდე განზეო,
თორემ ხომ ხედავ, გარს მტრები
დაგხარხარობენ თავზეო.

თქვენ თვითონ შურის და მტრობის
გვეგონეთ მომსპობელიო;
მაგრამ თქვენ უარესს შვრებით,
ნუ მრისხავს ღვთისმშობელიო.

ახალწელსა მოგილოცავთ,
ღმერთმა გიმრავლოთ წელიო,
და გთხოვთ შურსა და მტრობაზე
ახლავ აიღოთ ხელიო.

ი—ს ე—ზს გ—ელს

დიდი მოღვაწე მოხუცი
ჩვენ ხალხის წინამძღოლია;
ამ მოკლე ხანში ამ წმინდას
სწორედ არა ყავს ტოლია.

რასაც წარმოსთქვამს, უნდა ვთქვა,
მართალია და სწორია,
და მვირი თუ ვინმე ჰკადრა,
ის მოგონილი ჭორია.

ახალწელსა მიულოცავ,
ვემთხვევი მის ხელს წვერსაო;
ამ წმინდა მოხუცს, ღ'ერთო, გთხოვ,
ჯერ ნუ მოაკლებ ერსაო.

ან. ფ—ს

დრამა-ტრაღიზმის წრაში
ანტონი გაჩარჩულია;
მართლის თქმა უყვარს და მიტომ
ის ამოჩემებულია.

მაგრამ, ანტონ, სწერე, ის ჯობს,
სწერე, სწერე, სანამ გ'ლოს;
ღმერთსა ვსთხოვ, რომ მგ. აზრები
შეურჩენოდეს, არ დაგეზროს.

ახალ წელსა მოგილოცავთ,
როგორც მე, ეგრეც ყველანი,
შენი ქება-ხსენებისთვის
არ გვეღალება ენანი.

ი. მეუ—ას

თავჩაღუნული მიმოდის
მუდამჟამს ყოველ ალაგსა,
ვგონებ, რომ ეძებს ქართველთთვის
რამ სამკურნალო წამალსა.

ღმერთსაც ექნას, დაეტოვოს
ისეთი ნამოქმედარი,
რომ სუყველა მას ამბობდეს:
კვლავ საქმობს, თუმცა არს მკვდარი.

ახალწელსა მიულოცავ,
ღმერთმა უმრავლოს წელია;
მაგრამ წელიწადზე უფრო
გრძნობიერი ნაწერია.

სოფრ. მგ—ლს

სამშობლოის მოღვაწეა
ჩვენი სოფრომ, რაც აქვს ღონე;
სხვა თუ არის, ესეც არის
მწერლობაში მოსაწონე.

გლეხთა ცხოვრების წრაში
ჩემი ფიქრით, მას აქვს გონი,
მაგრამ ბოლოს რომ შეჩერდა,
ეს კი არ არის მოსაწონი

ვ. გ—ას

კრიტიკას მეტად გაუფრთხის,
მისგულისთვის მლანძღველია;
ბატონებს ძლიერ ქომაგობს,
მოკეთის მგინებელია.

სჯობს, სიბრძნის გზასა დაადგეს,
კალენდარს სიბრძნე ჩაურთოს;
ქუჩის ლექსები რათ გვინდა?...
ბუნების ცოდნა დაურთოს.

ახალწელსა მიულოცავთ,
დაბრძენებოდეს გონება;
სწავლა-მეცნება შეეძინოს,
არ შეაჩნდეს თავხედობა.

10

## II

გმირისეულის მიერ წარმოდგენილი

საყმაწვილო ჟურნალს „ყლ„ჯეჯი

ჩემო პაწია «ჯეჯილო»,
ამწვანებულო მხნედაო;
ბავშების დედა ერთგულო,
მათი გულისა ლხენაო.

ორთვეში ერთხელ გამოხვალ,
შვილებს აცინებ შენაო;
დედ-მამა შუღლით გიყურებს,
არ მოსწონს შენი მცნებაო.

შვილები შენკენ მორბიან,
შენთან აქვთ მხოლოდ ლხენაო;
დედმამებს უჯავრდებიან,
გამოგვიწერეთ ეგაო,

და თუ არ გამოგვიწერეთ,
არ დაგიჯერებთ ჩვენაო;
ტირილით გამოგაყრუებთ,
რომ ყურთ დაგვაკლდეთ სმენაო.

ღმერთსა ვსთხოვ, როგორც შვილებსა,
დედმამებს შეუყვარებოდე,
კალთას არ სწყვედენ შვილები,
თვით მათგან იზარებოდე.

მოგილოცავ ახალწელსა
ღმერთმა გიმრავლოს ბავშები,
გატაცებით გკითხულობდენ,
გეზარდოს ქვეყნის გმირები.

დეკ. მღ—ს ღ—ეს

ამ ჩვენს ქვეყანას ბევრია
შენი უბრალოდ მდევნელი;
ზოგი რას ამბობს, ზოგი რას,
ყველა სიცრუის მღეჭელი.

ბევრი რამ გითქვამს მისთანა,
რომ ვერვის ეხერხებინოს;
იქნებ სდომოდეს კიდეც თქმა,
ენა ვერ დაემვრევინოს!

ავსულსა შეუქაქანებ,
ვერ გრისხავს ჯვარის მტვირთველსა;
მგელს არ გაატან ცხოვარსა,
იფარავ ჩაგრულს მკირთელსა.

განაგრძე ეგრე, განაგრძე,
მწყემსი ჰხამს შეუპოვარი,
მგელ-კაცი, ლომი და ვეფხი
უფრთხოდეს მაგ ხმით მძრწოლარი.

ეგ მაგალითი დიდია
სამწყსოთა გასამხნევებლად:
მწყემსთა აიღონ კომბალი,
ნადირის მოსაგერებლად.

ღმერთმან მრავალ წელს გაცოცხლოს
და მოგცეს ღირსი მემკვიდრე:
მას წინამძღვრობა ეთავოს:
შენ მკელი ჯვარი უმკვიდრე.

დ. ბ—ძეს

რაჭის მამულის შვილი ხარ,
მთით წამოსული ბარადა;
გულში ნადები სიმტკიცე
სიკვდიმდე მიგყავს ფარადა.

ომ-გადახდილი გვახსოვხარ,
მწუხარე სახით წარმოსდგეგ;
უზნეო მტრებმა ვერ დაგცეს,
შემდეგ დიდ საქმეს შეუდგე.

ბევრი იბრძოლე ქვეყნისთვის,
კიდევ ბევრს ჰელით, არ კმარა;
ფიქრით აღბეჭდილს სახესა
შენსას აშვენებს ჭაღარა.

შორს მირბის შენი გონება,
ღმერთმა საწადი გისრულოს,
რომ კვლავ ჩვენს წრეში იომო,
სამოქლისებრ გისმინოს.

# მატარებელი დაიძრა

(მოთხრობა, ნათარგმნი)

(ქალების საახალწლო საჩუქარი)

დაუსრულებელი, გველეშაპივით მიკლაკნილ-მოკლაკნილი საღამოს მატარებელი წასვლას ემზადებოდა. წამსვლელები მეტად ცოტა იყვენ. პარასკევი გახლდათ და ამასთანავე მეცამეტე რიცხვიცა. ცოტანი არ არიან ცრუმორწმუნენი! რამდენ ადამიანს ეშინია ამ უკუღმართი რიცხვისა! მე ამ უკანასკნელთა არ ვეკუთვნი. სამაგიეროდ ეს რიცხვი სხვაზე უპირატესად მიმაჩნია და ამიტომ აინუნშიაც არ მომდიოდა. მეცამეტე რიცხვს ჩემს სიცოცხლეში ყოველთვის სასიხარულო მნიშვნელობა ჰქონია. მეცამეტე რიცხვიან სახლში ბევრი დაუვიწყარი და ნეტარი დღეები გამიტარებია. ამ გვარად ჩემი მატარებელით გამგზავრება ჩემთვის მეტად სახეირო დღესა ხერხდებოდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მგზავრთა რიცხვი უმცირესი გახლდათ: აქაიქ თუ შევსწრებდით ვისმე თვალსა. ვაგონებთან შედარებით უფრო ცხადათ გრძნობდით და ხედავდით ამ სიცოტავეს. გასაკვირეველი სიმრავლე ვაგონებისა ვერაფრით ამეხსნა: გვეონებოდათ, ნახევარ კაცობრიობისათვის გადუბამთ ისინი ერთი-ერთმანეთზეო. იმ საწოლ ვაგონში, სადაც მე დავისაკუთრე ადგილი, მხოლოდ ერთი მგზავრი დამხვდა: ეს გახლდათ ახალგაზდა, მაღალ-მაღალი, კოხტად და მოხდენილად ჩაცმული ყმაწვილი კაცი. მიხვრა-მოხვრაზე და სახის გამომეტყველებაზე კარგი აღზრდა ეტყობოდა და უეჭველად მაღალს, არისტოკრატიულ საზოგადოებას უნდა ჰკუთვნებოდა. კონდუქტორის წყალობით ორთავენი საკუთარს კუპეში გამოვიკეტენით. ჩვენს კმაყოფილებას დასასრული არა ჰქონდა: მოულოდნელი მეგობრის გვერდით ყოფნა ფიქრადაც არ მოგვსვლია. სამაგიეროდ, რასაკვირველია, ხარბად დავასაჩუქრეთ დაუვიწყარი გულ-შემატკივარი. ვაგონის განიერს გასასვლელში გაველით და შუბლით ფანჯარას მიბჯენილნი, მგზავრებს ჩუმად შევცქეროდით. ვაგონის შესავალში უცბად ვიღაცა ქალი გამოჩნდა. იმისი მაღალი და წერილი, მძიმე წამოსასხმელში გახვეული ტანი, სქელი რიდით აფარებული პირისახე და განათებული, ცეცხლის მფრქვეველი თვალები — ყველა ეს საშინელ აჩქარებას და მოუთმენლობას ხატავდა. გამგელებულმა მხოლოდ ერთხელ შემომანათა თვალები, მერე ელვასავით გაბრუნდა და რაღაცას შიშით ძებნა დაუწყო. ამდროს ჩემი მეზობელი მოუთმენლად ატოკდა და მოულოდნელი სიხარულით შეჰკივლა:

— შენა ხარ, შენა!!

ამ სიტყვებით სწრაფად კარს მივარდა, გააფარღალალა და უცნობს ქალს ალტაცებით ხელი გაუშვირა. ერთი წამიცა და ორივენი ვაგონში გაჩნდენ. მალე შემდეგი სუსტი, მაგრამ მკაფიო ხმით წამოთქმული სიტყვები შემომესმა:

— არ მინდოდა ჩემთან გამოუთხოვებელი წასულიყავი.

— თქვენს ქმარს რაღა უთხარით? ამ უდროოდროს როგორ დაიღწიეთ თავი? ქალის პასუხს ყური ველარ მოვკარი. კუპე ჩაიკეტა. კონდუქტორმა დიდ-მნიშვნელობიანად შემომხედა. ეტყობოდა, ჩემსავით იმანაც ყველა გაიგო, ყველაფერს მიხვდა მიხვედრა, სწორე გითხრათ, არც თუ საიმისო იყო რამე. ჩვენ თვალ-წინ ერთი ბედშავი სიყვარულის ეპიზოდთაგანი განმეორდა. საყვარელი კაცის წასვლა ამ სიყვარულს ან სულ ჩააფუჩეჩებდა, ან არა და სასურველს მიზანს მიაღწევინებდა. გულის მქენჯნავი სიჩუმე ჩამოვარდა, მე მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებისა მესმოდა ხან და-ხან გულ-საკლავი ამოსკვნაც ზედ დაემატებოდა ხოლმე. ბოლოს გამოსამშვიდებელი კოცნაც შემომესმა, მაგრამ აღელვებულმა ქალის ცრემლებმა ხვევნა-ტლოშნასაც ბოლო მოუღეს მალე.

ვაგონების შეხლამ წამაბარბაცა. კუპეს კარი სწრაფად გაიღო და დირესთან ახალგაზდა დედაკაცი გამოჩნდა, რიდე ახდილი შვენოდა: მის ნაზს, გაფითრებულს და საამოდ მიბნედილს პირისახეს არა შეედრებოდა-რა. საყვარელი მეგობარიც უკან მისდევდა.

— მატარებელი ჯერ ხომ არ დაიძვრის?. მიჰმართა ქალმა კონდუქტორსა.

— ჯერ კიდევ ხუთი წამი იქნება გაჩერებული, ქალბატონო, უპასუხა იმან და თან საათს ჩასცქეროდა: თქვენ ნუ სწუხდებით, მე თითონ შეგატყობინებთ. შეხლა მეორედ განმეორდა და მატარებელი მძიმედ დაიძრა. შიშმა და უსიამოვნებამ საწყალი მთლად გადარიეს. მეტმა მღელვარებამ შვენიერი პირი-სახე მთლად დაუმახინჯა.

— მივდივართ, ღმერთო ჩემო! შეჰკივლა საცოდავმა.

— ჩემი საათი სწორი მეგონა და არ ვიცოდი, წამოიძახა თავის გასამართლებლად კონდუქტორმა. მატარებელმა თანდათან აუჩქარა და წინ გარბოდა. გოგორებების ყრუ რიხრიხი თან-და-თან გაძ

ლიერდა და აშკარად შემოგვესმა. თავზარ-დასაცემი კივილი ზედი ზედ განმეორდა. ახალგაზდა ქალი უძრავად და უხმოდ, ცოცხალ მკვდარი დაეცა სკამზედ. გვერდით ახალგაზდა კაცი უდგა და განწირულებით ხელებს იმტვრევდა. ამ საშინელმა უბედურებამ მე და კონდუქტორი გულის ხეთქაში ჩაგვაგდო. წინანდელი საიდუმლო ახლა უცხადესს ამბად გადაგვექცა. ახალგაზდა ქალმა პირველი თავ-დავიწყება როგორც იყო მოიშორა თავიდან და შეშლილივით დაიწყო ყვირილი: დავიღუპე, მიშველეთ, მიშველეთ! შემიცოდეთ მე უბედური, ნუ ამახდეთ ნამუსი! ყმაწვილი კაცი დაშოშმანებასა ცდილობდა, მაგრამ ვერა გაეწყო-რა. თვითონაც საშინლად აღელდა და თავგზისა აღარა გაეგებოდარა, რაღაცა უცნაურს და გაუკებარს ფრაზებს ისროდა; ამითი საწყალს ადამიანს აუტანელს ტანჯვას უორკეცებდა. კონდუქტორი ხომ სრულად დაიბნა.

მატარებლის გაჩერება არ შეიძლება? შევეკითხე მე.

— არას გზით — იყო პასუხი.

— გააჩერეთ, თუ ღმერთი გწამთ, დააყენეთ! მთელს თქვენს სიცოცხლეში უზრუნველსა გყოფთ — ოღონდ გააჩერეთ როგორმე, — ემუდარებოდა ახალგაზდა კაცი. მერე მე მომიბრუნდა და შემთხოვა: უკაცრავად, მე თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ კეთილი ადამიანი უნდა ბძანდებოდეთ. მიშველეთ როგორმე ისე იფიქრეთ, ვითომ თქვენ ბძანდებოდეთ ამ წარმოუდგენელს გაჭირვებაში, ეს ადამიანი ქმარ-შვილიანია. ათი საათისათვის ქმარს უეჭველად სახლში უნდა დაუხვდეს, თორემ....

ათი საათისათვის! ამოკვნესით შეაწყვეტინა კონდუქტორმა. მერე აიღო და „თანამგზავრის წიგნის“ ფურცლებს მლა დაუწყო. თან გაუკებლად და შეუჩერებლად ბუტბუტებდა: „თერთმეტი, თერთმეტი.. .“

გაბრაზებულმა ხელიდან წიგნი გამოვტაცე და ერთს წამს მთლად გადავქოთე. საყვარლისათვის თავზე ხელ-აღებული დედაკაცი მეტად შემებრალა. ნეტა ღირდა ამ მსხვერპლად მისი ტრფიალების საგანი? მატარებლის პირველი გაჩერება შუა-ღამეს იქით უნდა მომხდარიყო. საცოდავს ქალს დილის ოთხ საათზე უხდებოდა სახლში დაბრუნება. ყველა ეს ორთავეს ვაცნობე. ახალს, უარესს განწირულებას და ცრემლთა ფქვევას დასასრული არა ჰქონდა. ახლოს რომ არა ვყოლოდი, საწყალი, უბედური ადამიანი ფანჯრიდან გადავარდებოდა.

— ქმარი, შვილები! რა ვქნა, და რა წყალში გადავვარდე! რითი უშველო თავსა! დავიღუპე, დავიღუპე, მიშველეთ! ამ გულ-გასაგმირმა მდგომარეობამ კარგა ხანს გასტანა. მახეში გაბმულს მატყუარას შორის დარჩა სიყვარული და მეგობრისადმი ტრფიალი. მათ ნაცვლად ახლა ზიზღსა და ბოროტებას შეეპყრა მისი არსება. ჩვენ ქალს ახლო ვიდექით და ჩემ გულშემატკივრობას უცხადებდით; შველით კი ვერა ვუშველეთ-რა.

— ცარიელ ოხვრასა და ხელების მტვრევასა სჯობს საქმეს როგორმე უშველოთ. გასამართლებელი საბუთები გამოსძებნეთ რამე. მიუბრუნდი ახალგაზდა ქალსა. ქალი გაცეცხლებული წამოდგა და სიბრაზით მომაძახა:

— ჩემისთანა დედაკაცის საქციელს განა სიმართლეც მოეპოვება.... ოთხს საათზე დაბრუნებას რა შემაწყნარებელი მიზეზი მოეძებნება.... მერე თავის ხმაგაკმენდილს მეგობარს მიუბრუნდა და შესძახა:

— მე სახლში დაბრუნებას სულაც არ ვფიქრობ და არც დავბრუნდები. როგორც მომატყუე და მომხიბლე, ისე კიდეც მიკისრე და მარჩინე.

ახალგაზდა ყმაწვილის მხრივ ღირსეულ პასუხს მოველოდი; მაგრამ, ღმერთო ჩემო! ხან-და-ხან ადამიანი რა საძაგელი და თავის დანიშნულების შემლახავი არსებაა! უნამუსო ვაჟბატონმა კრინტიც არ დასძრა და მხოლოდ უსულოდ ხელები გაასავსავა. მეგონა, ტკბილი ალერსით მოესიყვარულება, სხვა-და-სხვა დაპირებებით დაკოდილს გულს მოუფონებს და ანუგეშებს საბრალო ადამიანსა-მეთქი, მაგრამ იმედმა მიმტყუნა. გარყვნილმა და ქვად-ქცეულმა ახალგაზდამ ერთი სიტყვითაც არ მიაყენა სხივი დაძრულს და დაბნელებულს დედაკაცის სულ-გულსა! აგერ მატარებელმაც აკლო და მალე კიდეც გაჩერდა. ყმაწვილი კაცი წამოდგა და თავ-მომწონეთ ქალს ამოსაყენებლად ხელი გაუშვირა. ამ უკანასკნელმა ახლოც არ მიიკარა და გამოშვერილი ხელი ზიზღით უკრა. მე ავდექ, ვაგონი გავვლე და მომხიბლავი ცუგრუმელა იატაკზე ჩაუშვი. თავის მუხთალს და უმადურს მეგობარს არც კი გამოეთხოვა და სამუდამოდ დასტოვა მოსაგონებლადაც კი საზიზღარი ადგილი.

— მადლობას მოგახსენებთ! მითხრა მე და ელვასავით გაქრა. ეს სიტყვები უკანასკნელად შემომესმა შემდეგ აღარსად შევხვედრივარ ამ უცნაურ მომჯადოებელსა! საშინლად ციოდა და ჩემი ბეჭებზე მოსადები შალი მივეცი. მერე სადგურის უფროსთან მივიჭერი და შევეხვეწე პირველი მატარებლითვე უკან გაეგზავნა, ჩემს შეწუხებას და პატრონობას უბედური ადამიანი სრულებით ვერ ამჩნევდა, დარეტიანე-

ბულს დამსგავსებოდა და შტერიივით ერთ ადგილს ჩასციევბოდა. შემდეგში ბევრჯელ მიკითხავს ჩემის თავისათვის: ნეტა დაბრუნდა სახლში, თუ თავი მოიკლა? მოახერხა თავის გამოხსნა თუ არა? თუ მოახერხა იმედი მაქვს, თავის დღეში აღარ გაიმეორებს უნამუსო საქციელსა.

მაგრამ ვინ იცის! ჩვენი ქალები ქმრების მოტყუებაში ისე დახელოვნებულნი და დაეშმაკებულნი არიან, რომ ერთსა და ორს ამ გვარს შემთხვევას მათთვის იქნება სულაც არა ჰქონდეთ დამწყნარებელი მნიშვნელობა!

ინდონი

## ახალი ქართული ლიტერატურის მოძრაობა 1821 წ.

უმაღლესს საქართველოს მმართველობასთან დაარსდა პირველი ქართული გაზეთი ოფიციალური და პოლიტიკური ცნობებისთვის დანიშნული. ამ პირველს გამოცემას ერქვა სახელად „ქართული გაზეთი.“ მე-36 ნომერი ამ გაზეთისა, 1871 წ. „დროებამ“ გადმობეჭდა ფელეტონად. გაზეთის სათაურში გამოხატულია წმ. გიორგი ცხენით. გაზეთი, სჩანს, კვირაში ერთხელ გამოდიოდა. 1832 წ. სოლომონ დოდაშვილმა დააარსა ახალი გაზეთი სახელად „ტფილისის უწყებანი“, რომლის ენა წაჰგავს ანტონ კათოლიკოზის სტილს. 1851 წ. გიორგი ერისთავმა გამოსცა „ცისკარი“ და შეჰქმნა ლიტერატურული ენა, რომელსაც საფუძვლად დაედო გორის, ანუ ქართლის კილო. 1860 წ. გამოვიდა ი. ოქრომჭედლიშვილის რედაქტორობით სამეურნეო გაზეთი „გუთნის დედა“. 1863 წელს ილია ჭავჭაძე შეუდგა „საქართველოს მოამბის“ ბეჭდვას და შეიტანა ახალი წყარო სალიტერატურო ენაში — ეს გახლდათ კახური კილო. სამ წელს შემდეგ, სამწერლო ენა გამდიდრდა სხვა ელემენტით, რომელიც წამოაყენეს „დროების“ და „კრებულის“ გამომცემელთ. ეს იყო იმერული კილო. ეს სამგვარი ტოტი ჩვენი მდიდარი ენისა გახდა საფუძვლად სალიტერატურო სტილისა, თუმცა ბრძოლა ძველსა და ახალს შკოლათა შორის იმ თავიდანვე გამწვავებული და ერთმანეთის უარმყოფელი შეიქმნა. აწინდელ ენას დაერთო ფშავხევსურეთის ლექსიკური თანხაცა და თან-და-თან იზრდება საზრდო ლიტერატურული განძისა. „დროება“ გამოვიდა 1866 წ.*) გ. წერეთლის რედაქტორობით. გამომცემლად შეიქნა ს. მელიქიშვილი. 1868 წელს სტ. მელიქიშვილმა გამომცემლობაც გადუმტკიცა გიორგი წერეთელს. ამ წელსვე გ. წერეთელმა გამოსცა „სასოფლო გაზეთი“. 1869 წ. შესდგა რედაქციის წრე გ. წერეთლისაგან, ნ. ნიკოლაძისაგან და სერგეი მესხისაგან, რომელსაც გ. წერეთელმა ოფიციალურად გადასცა „დროების“ რედაქტორობა და გამომცემლობა; მაგრამ საერთო რედაქციის წრე მაინც სრულად განაგებდა ზემოხსენებულ გამოცემის საქმეს 1873 წლამდის. ჟურნალი „მნათობი“ დაარსდა 1869 წ. ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით, მაგრამ 1872 წელს მოისპო. 1873 წლის გასულს გ. წერეთელმა გადასცა ავათმყოფობის გამო „კრებული“ თ. კ. ლორთქიფანიძეს, ხოლო „სასოფლო გაზეთი“ პ. უმიკაშვილს და თვით წავიდა საზღვარს გარეთ. „კრებული“ თვიური ჟურნალი 1871—1873 წ. იბეჭდებოდა გიორგი წერეთლის რედაქტორობით. „სასოფლო გაზეთმა“ გასტანა 1875 წლამდის, ხოლო „კრებული“ შეჩერდა 1874 წელს. 1877 წ. ომიანობის დროს დაარსდა ილია ჭავჭავაძის მიერ გაზეთი „ივერია“, 1880 - 1882 „ივერია“ შეუერთდა „დროებას“. 1879 წ. „ივერია“ ჟურნალად გადაიქცა, 1886 წელს-კი ისევ გაზეთად გადაკეთდა.

1884 წ. მიხეილ გურგენიძემ გამოსცა „იმედი“ ჟურნალი, რომელმაც სამი წელი იცოცხლა. გაზ. „შრომა“ დაარსდა 1882 წ. ქუთაისში თ. დიმიტრი დადიანის რედაქტორობით. ამ წელს ს. მესხმა ავათმყოფობის გამო „დროება“ გადასცა თ. ივ. მაჩაბელს, მაგრამ იგი აიკრძალა 1883 წელს. ქუთაისში 1883 წ. გამოდიოდა «ქართული ბიბლიოთეკა» ეკატერინე ლორთქიფანიძის რედაქტოლობით. „მოამბე“ გაზეთი გამოვიდა ერთი ნომერი 1884 წ. „ნობათი,“ საყმაწვილო ჟურნალი გამოდიოდა 1882 - 3 წწ. ანდრია ღულაძის რედაქტორობით.

„თეატრი“ საყოველკვირაო გაზეთი დაარსდა 1885 წ. ვასილ აბაშიძის მიერ, შემდეგ ნებიერიძემ შეისყიდა და 1891 წ. მოისპო.

„მწყემსი“ დაარსდა და გამოდის ყვირილაში 1886 წლიდან დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით. ამავე წელს ივანე კერესელიძემ გამოსცა გაზეთად „ცისკარი“ და მოსპო 1887 წ. ამის მაგიერად დაარსდა 1888 წ. ახალი სამეურნეო გაზეთი „მეურნე“ ვასილ სულხანიშვილის რედაქტორობით. 1890

*) „დროების“ გამოცემას რომ უფრო მკვიდრი საფუძველი ჰქონოდა; შეამხანაგდა სამი კაცი, ნ. ლოლობერიძე, სტ. მელიქიშვილი და ვ. თულაშვილი. იმათ დააარსეს სტამბა ს. მელიქიშვილის ფირმით და მაშინვე მოიპატიჟეს გ. წერეთელი სარედაქტოროდ.

რედ.

წ. დაარსდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ ანასტასია თუმანიშვილის რედაქტორობით. 1893 წლიდგან ჯეჯილთან გამოდის საყოველკვირაო ნახატებიანი ჟურნალი „კვალი“. 1894 წ. გამოვიდა ჟურნალი „მოამბე“ ალექსანდრე ჰყონიას რედაქტორობით. ამ გვარად 1894 წ. გვექნება „ივერია“, „კვალი“, „მწყემსი“, მეურნე“, „ჯეჯილი“ და „მოამბე“.

ა. ხახანაშვილი

---

## დაჭრილი არწივი

მშვიდობით, ჩემო ზარ მეხით
ალმა, ხან დალმა ფრენაო;
ბედმა მიმუხთლა, მტრის ხელმა
დღენი მისწრაფა მენაო.

სისხლით ვიცლები მკერდ-გული
ხარბათ მან დამინამაო;
ძალ-ღონე გაჰქრა, დავბრმავდი
და მიღალატა ხმამაო.

დებმა მალამო ვერ მისწრეს,
ზურგი მაქცია ძმამაო,
დედა იმდურის და მოსთქვამს,
მოხუცი კვნესის მამაო.

სიკვდილის პირად მიღწეულს
კიდევ შემეძლო მღერაო,
და ძლევა-მოსილ ჰანგებზე
გულ გასაგმირად ჟღერაო

მაგრამ ძმის ალერსს კლებული
დღითი-დღე ცუდად ვდნებიო,
გვირგვინოსანი ხემწიფე,
ბუნებავ, აწ გიკვდებიო.

ინდონი

---

## ძლევა მოსილი მეცნიერება და მუხდალი მალმომრეო

ასეთი გულ-ჩასახვდომი აზრია სემირადსკის მ
ტვრობაში გამოყვანილი, რომელიც წარმო
დგენს ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილ
და მისს მკურნალს ფილიპეს.

აქ გამოხატულია ის წამი, როდესაც ქვეყნ
მპყრობელი ალექსანდრე მაკედონელი, რომელ
წუთისოფლით გაამპარტავნებული და გამედიდ
რებული თავისთავს აღიარებდა უზენაესის ღმერთ
იუპიტერ-ამმონის ძედ და დიონისეს*) მემკვიდრე
დაგდებულა უძლურად თავის სარეცელზე (ლოგინზ

მუხდალს წუთისოფელს ქვეყნის გმირი მო
კვდინებელი სენით შეუპყრია, გადმოუგდია ღვთ
ბრივი ღირსებიდან და თითქმის ლეშად უქცევ
ალექსანდრე მაკედონელი წევს ლომის ტყავზე, თ
თქოს ინდოეთიდან წამოსულს, ლომზე მჯდომარ
დიონისე ღმერთს მოგვაგონებდეს; მაგრამ, ჰოი ს
კვირველებავ! ის ახლა ამ ლომის ტყავზე ლეშ
არის განართხული. მოშორებით დგას სასოწარკვ
თილი მხედარი, რომელიც მოწამე ყოფილა ალე
სანდრე მაკედონელის ძლევა-მოსილებისა; მას ახსო
მეხისტეხასავით მქუხარე მისი ხმა, შემაძრწუნებელ
სივაჟკაცე და მის ფერხთა ქვეშ დანარცხებული ს
მყარო; მას ახსოვს იგი და ახლა ეს ძლიერება მომ
კვდავის კაცის საშიშ ხროტინად წარმოსდგომია მ
თვალწინ, თვით შემკრთალა, შეშინებულა, თვალებ
გაუღია და დასჩერებია მეფის ოხრად დაყრილს სამხ
დრო იარაღს, თითქოს სასოწარკვეთილებით უნდა წ
მოიძახოს: „ნუ თუ ამ ყოვლის შემძლე ქვეყნის მ
ფეს ასეთი ბოლო უნდა ქონებოდაო, ნუ თუ
აყროლებულის მძორის გულისათვის გამოვსცად
მე ამდენი მწუხარება, ტანჯვა, ალტაცება, გმირო
და თავგანწირულებაო! განა ღირდა ამის გულისთვ
ჩემი სიცოცხლეო!?.. “

ზევიდან ფრთებ-შესხმული უკუნი (ქრონოსი
აწვდის რგოლს, რომელიც არის სიმბოლო დაუს
ბამოისა და დაუსრულებელის მთლიანი ვითარების:
რომელშიაც თვით ალექსანდრე მაკედონელის საქმ
ნიც კვალ-დაუჩენელად ჰქრებიან.

ერთი მისი თანამშრომელი მხედართ-მთავარ
თავანი ბალიშს უკან შემოდგომია და იმედ მიხდილ
მის სახეს თითქოს არ სჯერა ალექსანდრე მაკედო
ნელის სიკვდილი:

„ვინ ალექსანდრე მაკედონელი და ვინ მის
ასეთი ყოფაო! მაშ თუ ასეა, წუთისოფლის დიდებ

*) დიონისე ღმერთს ეწოდებოდა აგრეთვე ბახუსი, ღმერ
თი მხიარულებისა და ღვინისა.



ძლევა მოსილი მეცნიერება და მეხდალი ძალმომრეობა. (ალექსანდრე მაკედონე » და მკურნალი ფილიპე)

ერთ ჩირადაც არ ღირებულარ»". ყველაზე შესანიშნავია მკურნალის ფილიპეს სახე, რომელიც თითქოს ძლევამოსილი დგას და სრულიად შეუშფოთებლად ჩასჩერებია სამეცნიერო წიგნს: „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაოა; მხოლოდ ერთია უძლეველი და უკუნისამდე ძლევა-მოსილი—საუკუნო სამართალი,

რომელ არს უკვდავი ჭეშმარიტება". ამ ცოცხალ
სიბრძნის სურათთან შედარებით რამდენი სულმო
ლეობა გამოიხატება თვით მომაკვდავის ალექსანდრ
მაკედონელის მეხდალს სახეზე, რომელიც მოუძლ
რებული თვალებით, თითქოს ემუდარება თავის ბრძ
მკურნალს: ოღონდ მომარჩინე და ჩემი ალექსანდრ

მაკედონელობა შენთვის დამილოცნია...

ჰოი, უძლურო ჭიავ, კაცობრივო სიამპარტავნევ! თუ მაგის მეტი არ შეგეძლო, რად არყევდი ქვეყანას, რად აშფოთებდი კაცობრიობის სიცოცხლეს, რად სტანჯავდი, რად აწუხებდი მილიონს შენისთანავე არსებას!?...

გ. წერეთელი.



## «სამშობლოს მსხვერპლი»

### საახალწლო სურათი

ეჰ, გამარჯობა შენი, დათიკო! მიმართა ერთმა. კაცო, ხომ დათხოვნილი ხარ, რა მოგარბევინებდა შინიდან აქ, ამ ყინვაში?

— როგორ თუ რა მომარბევინებდა?! გიიკვირვა დათიკომ. თქვენ აქ მეგულებოდით და თქვენი ნახვა მომენატრა. როგორა ხართ? რამდენიმე დღეა, არ მინახიხართ. ხომ არა გაგჭირვებიათ რა. ამ დღეებში სიმღერები გაგიმართავთ? ჰკითხავდა გულ-მტკინეულად ამხანაგებს დათიკო ჭონიძე

— აბა, უშენოთ ვინ მოგვცემდა სიმღერის ნებას? შენ რომ ხარ-ჩვენი პატრონი ხარ!

— აბა, მაშ ახლა შევავსოთ, რაც ამ დღეებში სიმღერა დაგვკლებია. ძიმწარაძეს დაუძახეთ — უიმისოთ ხომ არა იქნებარა.

— აბა უძაღლისთავოდ ქორწილი ვის გაუგონია! გააკამათა ერთმა.

— მე ვარ ძაღლის თავი? მოისმა ვიღაცის ხარივით ხმა და დამცინავი მიწაზე გაშხლართა კოხტად გამოკრულმა სარმამ. ამავე დროს ჭონიძეს წინ გაჩერდა თვით სარმის გამოკვრელი – ძიმწარაძე – ძალიან მოხდენილის სახის და შეხედულების ახალგაზდა იყო.

— დათიკოს გამარჯვება! დაიძახა ძიმწარაძემ. თუნდა დავნაძლავდეთ სიმღერისთვის ჩამოხვიდოდი? რა ნაირად გიყვარს, კაცო, სიმღერა!..

— კარგიც არის, ჩემო მიხაკო! უთხრა ღიმილით და ხელის ხვევნით დათიკომ. სიმღერა დარდიანს ჯავრს უქარწყლებს. ყველას დაუძახოთ, ვიმღეროთ, ვითამაშოთ... აბა, შენ იცი, მიხაკო! შენებურად დატრიალდი!... მართლა ჩემ შემდეგ ხომ არა მომხდარა რა?

— როგორ არა. დღეს ჩვენი ზვოდნი დაითრო – ნამგალაშვილსა სცემა და თითონვე ფელტფებელთან უჩივლა; ის-კი კამანდერს უპირებს მოხსენებას. შენი ჭირიმე—ეგები მოელაპარაკო ფელტფებელს. შენი ხათრი აქვს; ცოდვაა ის ბიჭი. დღესასწაულია!..

— ყველაფერი ადვილია—უპასუხა იმედით სავსე კილოთი დათიკომ. ყველა მოხერხდება. აბა, ახლა-კი სიმღერა!.. მიხაკო, აბა ერთი ფერხული!.. გიორგაძე მოძახილს გეტყვის! აქ მამიაშვილი მეორე გუნდის მომთქმელი იქნება და სიმბირაძე მოძახილს მიაყოლებს!., ჩვენ-კი ბანში არ ჩამოგრჩებით.

*) იხილე კვალი 1-ლი №-რი 1894 წ.

ბევრი ლაპარაკი და დაწყობა აღარ მოუნდათ, შეჰკრეს განიერი წრე, რისთვისაც დარბაზი ფართო ადგილს აძლევდა, და ძიმწარაძემ დაიწყო ფერხული, გიორგაძე—დაბალ-დაბალი, ხმელ-ხმელი ბიჭი, ქალური სახის მექონე,—გვერდით ამოუდგა მას და ოურთო კრიმანჭული მოძახილი. გააბეს ხელები და გადაექვდენ ერთმანეთს მკლავებით. ძიმწარაძის მა-მაღალი, მძლავრი, მაგრამ ამასთანავე მელოდიური, ხმა·მკაფიოდ გაისმოდა მრგვინავ ბანში; მას თან მისდევდა წვრილი კრიმანჭულით გიორგაძე.

მეორე პირს ამბობდა მამიაშნილი, კოხტა ბიჭი, ხარ-ბეჭიანი. მისი ხმა ზარივით მოისმოდა და მისავევ-მოსახვევში გველივით იკლაკნებოდა, ხან კვნეით კვდებოდა და ხან ქუხილივით გრგვინავდა!...

მომღერლები თან-და თან გაიმართენ, გაისწორეს სიმღერის კილო და გაძლიერდენ. ყველა რაღაცა ძალამ გაიტაცა, მთელი მათი არსება ტკბილა გრძნობამ და სიამოვნებამ მოიცვა. მომღერლები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდენ და ეს ჯიბრი უფრო აუკეთესებდა მათ საამურ სასმენ „ფერხულს“. ამასთანავე მათი მოძრაობა, ფეხის აყოლება, ისე შეთამებული იყო სიმღერის მიხვევ-მოხვევასთან, რომ სმენელი აუწერელი ესტეტური კმაყოფილებით მსჭვალებოდა.

მომღერლებს გარს შემოერტყა მთელი დასი ჯარისკაცთა. ყოველს მათგანს წინად დაღვრემილი სახე ხლა სამხიარულოთ შეეცვალად და სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა.

ბოლოს დაშალეს ფერხული და მორთეს „ცანალა გოგონას“ სიმღერა. გაისმა ტაშის კვრა: ძიძწარაძემ დაიწყო ლეკურის თამაში ამას შემდეგ გამოტა მკვირცხლად ერთი ჯარისკაცი, დაუარა წრეი მარდად, გაშალა ლამაზად მკლავები, შეჩერდა ერთს ადგილას და გაუსვა ცეკვას. მისი ფეხები ისე მოძრაობდენ, თითქოს ჰაერში ტრიალებსო, ტანი საჩსავით ამართული იყო და ოდნათაც არ ინრეოდა.

ამ მოთამაშეს მოჰყვა მეორე, მესამე და გაჩაღა ლეკური.

— ბიჭებო! აბა, ახლა—ლომისაურის ფანტურს ა მის დაძახილს დაუგდოთ ყური: მოისმა ერთბაად ხმა დათიკოსი, რომელიც შუა წრეში იდგა და ერჩევით გამოჰყავდა მოთამაშენი.

იმის ხმის გაგონებაზე—ყველანი ერთ-ხმად გაუნდენ და მოელოდენ ლომისაურს: იმედა ლომისაური გახლდათ ხევსური, ძალიან ტანადი და ლაზი. იმის ფანტურს და სიმღერას გომ მთელი ჯარისკაცთა რაზმი აღტაცებაში მოჰყავდა. მხოლოდ ანდახან-კი, ამ მხიარულს კაცს ისეთი ვარმით ევსეოდა გული, რომ ხმას ვერ ამოაღებინებდით. საბრალო!.. ერთის წლის დაქორწილებული იყო, როცა იგი სამხედრო ბეგარაში გააწვიეს და კენჭი ჰხვდა ხალგაზდა ცოლის და მაწოვარ ბალღის მოშორებამ ლომისაური საშინლად დაალონ-დააძმარა, ასე რომ რაზმში მოსვლისათანავე ორი თვე სულ ტანჯვაში და ცრემლში გაატარა. მერე როგორც იყო გამობრუნდა, დარდი გადაიყარა; მას კვლავ დაუბრუნდა თავისი მხიარული ხასიათი, მხოლოდ დრო, გამოშვებით-კი ოჯახის მოგონება მწუხარის ნისლით მოჰბურავდა ამ სიცოცხლით სავსე კაცს და იგი თავ-ჩაქინდრული დადიოდა.

ამისთანა მწარე წამებში მას მხსნელად მოევლინებოდა ხოლმე დათიკო, რომელიც ცდილობდა კეთილი სიტყვით გაეფანტა ლომისაურისათვის ნაღველი და გულმტკივნეულად თანაუგრძნობდა მის გულის წყლულებს.

საზოგადოდ დათიკო ჭონიძე—ნასწავლი ყმაწვილი კაცი—იყველასთვის კეთილი კაცი იყო, არავისთვის კეთილს რჩევას არ დაიზარებდა და ყოველს გაჭირებაში დახმარებას უჩენდა. ჯარის კაცხიც მაგიერს უხდიდენ. ყველასაგან მისი სიტყვა კანონად მიიღებოდა, რადგანაც მკვიდრი რწმეხა შეედგინათ მის პატიოსნებაზე და გულ-კეთილობაზე.

ბევრჯერ გამოუხსნია დამნაშავე სასჯელისაგან და ჯეროვანი რჩევა მიუცია მოქმედების შესახებ. უფროსებიც პატივსა სცემდენ ჭონიძეს, რადგანაც მისი სიხდისი და ზნეობრივი მიმართულებანი ყველასთვის ცნობილი იყო.

სად არის იმედა? ჰკითხა დათიკომ ერთს ხევსურთაგანს—ლომისაურის ამხანაგს

— ეხლახან აქაი იყვის. უპასუხა იმან. დღეს სულ დაღონებული არი, გულ-ჩათხრობილი ვლიდის. სახლ-კარი მოაგონდის და თავისებურ დარდიან არნ.—დაუმატა ხევსურმა.

— არ გინახავს, სად წავიდა?

— არა, არ მინახავს. მე გონობ კარჩი წავიდის.

დათიკომ გასწია მის საძებნელად და ბოლოს ერთ კარებთან მიჰხვდა. ლომისაური ატუზულიყო კარების სიახლოვეს, შეუმჩნევლად გაჰკროდა კედელს და გაშტერებით გაჰყურებდა კავკასიონის გრეხილს მთებს, რომელნიც თითქოს დარაჯად შემორტყმოდენ არემარეს. თოვლით ნაკვეთი მთის მწვერვალები ამ ბუნების მყუდროებაში მედიდურ სურათს წარმოადგენდენ.

ლომისაური ისე იყო გატაცებული ამ მედიდური სურათით, განათებული მთვარის შუქით, რომ ვერ გაიგო დათიკოს მიახლოვება.

— აქ რას აკეთებ, იმედავ?! გამოიყვანა ოცნებიდან დათიკოს ხმამ ლომისაური.

იგი შეკრთა, მოუბრუნდა დათიკოს და მწარე ღიმილით გაუწოდა ხელი.

— არაფერს... ბატარაი., თავი მტკივა და მინდა სიომ დამკრას... უპასუხა იმედამ.

— არა გრცხვენია, იმედავ?! კიდევ ძველებურად დაიწყე! როგორ ვერ მოურიგდი შენს მდგომარეობას? წელიწადი-ღა დაგრჩენია; თუ ამდე-

ნი მოითმინე—ერთი წელიწადიც გაძლი. სირცხვილი არ არის შენისთანა ვაჟკაცისათვის ასე დარდიანობა?



ჯარის კაცი
ცოლაი, შვილაი მაგონდების

ძნელია, დათიკოისი, სამშობლო მიწის მოშორება!... ცოლაი, შვილაი მაგონდების და დარდი გულჩი ბულღივით მიბრუნვის!... ბარემ მეც არ მწადის. მაგრამ გული ვერ მებრუნების. თავი ვერ გამიყოლებია!.. წარმოსთქვა ხმის კანკალით იმედამ და ცრემლები შეუთამაშდა წამწამებზედ.

ლომისაურის სასოწარკვეთილებამ დათიკოსაც გულის ღრღნა აუშალა. მაგრამ არ შეიმჩნია და უთხრა ყვედრების კილოთი

იმედავ, იმედავ? ეგ კი მეტის-მეტია! ცრემლები დაგმირი ხევსური!

— აუჰ! დათიკოისი! ცრემლი არ გრცხვენის! ცრემლი გულს მიბრუნებს,, ტკივილს მიყუჩებს, ცრემლაი ტანჯვას მიმსუბუქებს!... ახალ-წელიწად არნ მაგონდების, ხევსურთ ტოლ-ამხანაგ და გულჩი ლახვარ მეჩხვლიტის!.. ამბობდა ყრუის ხმით იმედა.— ჩამაი ბიჭი ფეხთ-მოარულ იქნების და მე-კი ვერ ვხედავ!.... აუ, დათიკოისი...

— იმედა! არ შეგვშენის ძმაო, მაგისთანა ლაპარაკი, მხედარი ხარ და მაგეებზე ლონდები?

